სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მზია გარშაულიშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	85	100

ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 10.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 10 დეკემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - მზია გარშაულიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (38 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა - მზია გარშაულიშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შეცავასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

2.1.1. „კანდიდატი“ 41 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (თსუ 2007 წელი, მაგისტრი), სპეციალობით მუშაობს 15 წელია, კერძოდ:

- 2009 წლის თებერვალი - 2011 წლის ივნისი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი, თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2011 წლის ივნისი - 2018 წლის სექტემბერი, სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე, თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2018 წლის სექტემბერი - 2023 წლის ოქტომბერი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი, მოსამართლის თანაშემწე, თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის ოქტომბერი, მსმენელი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის" კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. კანდიდატს ახასიათებენ როგორც შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერ, კომუნიკაბელურ, მედეგ, მშვიდ, თავაზიან, გაწონასწორებულ, პუნქტუალურ პიროვნებას. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. შესაფასებელ პერიოდში „კანდიდატს" უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 4 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. „კანდიდატის" დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება. მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.7. „კანდიდატი“ არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი; მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 78/16. რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 8.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მზია გარშაულიშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლის, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 91 ქულობრივი შეფასება. ადმინისტრაციულ სამართალში მზია გარშაულიშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. აღსანიშნავია, რომ იგი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობიანი, მუდმივად მზადაა გაიღრმაოს ცოდნა, იგი მუშაობდა სისხლის სამართლის მიმართულებით, თუმცა მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს იგივე გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით საუკეთესოდ გაართვას თავი სხვა კატეგორიის საქმეებსაც. მას აქვს უნარი, იმსჯელოს სამართლებრივ საკითხებზე, შემდგომ კი აღნიშნული მსჯელობა შესაბამისი დასაბუთებით ასახოს პროექტებში. სამოქალაქო სამართალში შესაფასებელ პირს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. სისხლის სამართალში აქვს მატერიალური, პროცესუალური და საერთაშორისო სამართლის სათანადო ცოდნა, რის შედეგადაც ჯეროვნად აანალიზებს სამართლის ნორმებს. უსადაგებს საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, შესწევს უნარი სწრაფად მოიძიოს სამართლის პრეცედენტები. გულმოდგინედ უსმენს და ეცნობა მხარეთა არგუმენტაციას. მხოლოდ საქმეში არსებული მასალებითა და სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე მსჯელობს და ახდენს მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებას. მისი ნამუშევრები, გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებული, არგუმენტირებული და სტილისტურად გამართულია. იყენებს სამართლებრივ ტერმინებს, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს მსჯელობებს, ასევე არგუმენტირებულად უსადაგებს მის ნაშრომს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს. პიროვნულად არის გულისხმიერი, საუბარში აკადემიური და კორექტულია, მსჯელობს დამაჯერებლად, აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი და ამავდროულად, აზრსაც დასაბუთებულად აყალიბებს, არის გაწონასწორებული, მშვიდი, აქვს უნარი სტრესულ გარემოში მართოს საკუთარი თავი. მზია გარშაულიშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

ამავე დასკვნის თანახმად: „მზია გარშაულიშვილისთვის სირთულეს არ წარმოადგენს შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს მიღებული გადაწყვეტილებები, იმსჯელოს მიმდინარე საქმეზე, სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. მსმენელის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა. მზია გარშაულიშვილს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ამომწურავად გადმოსცემს აზრს, მსჯელობისას გამოყოფს მნიშვნელოვან გარემოებებს, აკეთებს დასკვნებს, მიუსადაგებს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს".

2.1.8. კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი.

2.1.9. „კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე - (HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსი) - ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში და იუსტიციის უმაღლესი სკოლა; საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან - ევროკავშირი და ევროპის საბჭო; განაჩენის დასაბუთება (სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა და სხვა).

2.1.10. „კანდიდატი" არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

2.1.12. „კანდიდატს" ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.1.13. „კანდიდატს" ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის" პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის

((სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია".

3.2. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების კარგი ცოდნა. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს" გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილებაც. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნით ირკვევა, „კანდიდატის" მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს" გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის" შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნით დგინდება, რომ „კანდიდატი" წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის" მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, იგი წერს სამართლებრივი, მარტივი და გასაგები ენით, ფაქტებსა და გარემოებებს ლოგიკურად აკავშირებს ერთმანეთთან. „კანდიდატი" გამართულად

მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.4. „კანდიდატი“ პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. საჯარო მოსმენაზე ნათლად და გასაგებად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

4.1.5. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.6. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატი - მზია გარშაულიშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 85 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 21

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 21

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 18

„დ“ პროფესიული თვისებები - 11

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9

„ვ“ პროფესიული აქტივობა - 5

ვასილ მშვენიერაძე